გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 13/10/20016

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის

უფროსის ბრძანება №1016/12-3

2016 წლის 12 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომრები 260, 270 და 283.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომერი 201 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები, ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყო-ფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
201	სახელები: 1. იაზიდი (YAZID) 2. სუფაატი (SUFAAT) 3. 4. დაბ.თარიღი: 20.01.64 დაბ.ადგილი: ჯოჰორი, მალაიზია (Johor, Malaysia) ეროვნება/მოქალაქეობა: მალაიზიელი	ა) ჯოე (Joe); ბ) აბუ ზუფარი (Abu Zufar).	პასპორტის მონაცემები: №A10472263 პირადი ნომერი: №640120-01-5529	ტამან ბუკიტ ამპანგი, სელანგორი, მალაიზია (Taman Bukit Ampang, State of Selangor, Malaysia).(ადრეუ-ლი მონაცემებით) ბ) მალაიზია (ციხეში 2013 წლიდან)	09.09.03 (ცვლილებე-ბი 03.05.04; 01.02.08; 10.08.09; 25.01.10 16.05.11 11.10.16)	Jemaah Islamiyah (JI)-ის დამფუძნებელი (იურიდიულ პირთა სიაში №85), მუშაობდა ალ ქაიდას (იურიდიულ პირთა სიაში №83) ბიოლოგიური იარაღების პროგრამაში, დახმარება გაუწია, ალ-ქაიდას აშშ-ში ორგანიზებულ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის მონაწილეებს და ჩართული იყო JI-ის დაბომბვების ოპერაციებში. 2011 წლიდან 2008 წლამდე მალაიზიაში იყო დაჭერილი. 2013 წელს დააკავეს მალაიზიაში და 2016 წლის იანვარში მიუსაჯეს 7-წლიანი პატიმრობა ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით ინფორმაციის არ მიწოდების გამო. გათავისუფლდება 2020 წლის თებერვალში. უშიშროების საბჭოს 1989 (2011) რეზოლუციის შესაბამისად საქმის გადასინჯვა დასრულებული იქნა 2014 წლის 6 მარტს. ფოტო ხელმისაწვდომია

						ინტერპოლი – გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალურ განაცხადში ჩასასმელად.